

სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გრანტით მიღებული პროექტები

№	გრანტის დასახელება	ხელმძღვანელი	პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები	მოცულობა (თანხა), ლარი	სტატუსი დასრულებული/ მიმდინარე	გრანტის კოდი
1	მოწყვლადი ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების რისკების თეორიული კვლევა მოსალოდნელი კატასტროფების ფორმირებისას	გივი გავარდაშვილი	2018-2022	210 000	დასრულებული	FR-17-615
2	ღვარცოფსარეგულაციო ელასტიკური ბარაჟი	ედუარდ კუხალაშვილი	2019-2023	782 400	მიმდინარე	AR-18-1244
3	თანამედროვე ღვარცოფსაწინააღმდეგო კონსტრუქციის ეფექტურობის და საიმედოობის შეფასება მდინარე მლეთისხევის ღვარცოფსადინარის მაგალითზე	გოგა ჩახაია	2019-2023	107 100	დასრულებული	AR-18-1491
4	მთის წყალსაცავების საინჟინრო-ეკოლოგიური თავისებურებების სისტემური ანალიზი	კონსტანტინე იორდანიშვილი	23.03.2022 – 23.03.2024	160 000	მიმდინარე	FR-21-2942

აბსტრაქტები :

1. - **კონკრეტული შედეგი** - საგრანტო პროექტში დამუშავებულია ეროვნული უსაფრთხოების სტატეგიისა და რისკების მართვის სამოქმედო გეგმა, შეფასებულია მოწყვლადი ინფრასტრუქტურის რისკები მოსალოდნელი ბუნებრივი და ანტროპოგენური (მათ შორის, ტერორისტული აქტები) კატასტროფებით გამოწვეული საფრთხეების გათვალისწინებით.
- **რეკომენდაციები** - წარმოდგენილია სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური თანამშრომლობა რისკების თანამედროვე დონეზე მართვასა და რეალიზაციაში, რომელიც საშუალებას მოგვცემს ბუნებრივი და ანტროპოგენური კატასტროფების პრევენციის და გაუვნებელყოფის მიზნით შეიქმნას ეფექტური, ინტეგრირებული და თანმიმდევრული რისკების მართვის ეროვნული პლატფორმა.

2. - **კონკრეტული შედეგი** - წინა წლებში განხორციელებული თეორიული კვლევების, ღვარცოფსაწინააღმდეგო ელასტიკური ბარაჟის ლაბორატორიული ჰიდრავლიკური მსხვილმასშტაბიანი მოდელირებისა და დამუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე დაპროექტდა და მოეწყო ღვარცოფსაწინააღმდეგო ინოვაციური ნაგებობა მდინარე მლეთის ხევის კალაპოტში.
- **რეკომენდაციები** - ნაშრომში განხილულია ღვარცოფსაწინააღმდეგო ინოვაციური ელასტიკური ბარაჟის დაპროექტებისათვის გაანგარიშების მეთოდოლოგია და დაპროექტების პრაქტიკული მაგალითი, რომელიც განხორციელდა მდინარე მლეთის ხევის კალაპოტში.

3. - **კონკრეტული შედეგი** - ნაშრომში განხილულია მდინარე მლეთისხევის წყალშემკრებ აუზში მიმდინარე ეროზიული და მეწყრული გენეზისის ღვარცოფული მოვლენები და მათი ნეგატიური შედეგები, ასევე მლეთისხევაში მოსალოდნელი ღვარცოფის მახასიათებელი სიდიდეები და ეკოლოგიური საფრთხეები განსაზღვრულია მსოფლიოში აპრობირებული RAMMS კომპიუტერული პროგრამის საშუალებით;
- **რეკომენდაციები** - შემოთავაზებულია ღვარცოფსაწინააღმდეგო ახალი კონსტრუქცია, გაანგარიშებულია კონსტრუქციის ღვარცოფსაწინააღმდეგო ეფექტურობა მდგრადობა და ეკონომიკური ეფექტიანობა. ნაშრომი დაეხმარება ინჟინერ ეკოლოგებსა და გარემოს დამცველებს ბუნებრივი სტიქიური მოვლენების მართვის ეფექტური მექანიზმების შემუშავებაში.

4. - **კონკრეტული შედეგი** - განხილულია საქართველოს მსხვილი მთისა და მთისწინეთის წყალსაცავების (ჭინვალის, სიონის, ხრამის, თბილისის, შაორის, ლაჯანურის და ტყიბულის) გეოგრაფიულ-ტექნიკური მაჩვენებლები და ჰიდროლოგიურ-ეკოლოგიური მახასიათებლების საპროგნოზო გაანგარიშებების თავისებურებანი.

გამოიკა „ჰიდროსაინჟინრო ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი“, სადაც მოცემულია ძირითადი თეორიული და პრაქტიკული საკითხები ისეთი სპეციალური დისციპლინებისა, როგორცაა: ჰიდრაულიკის საფუძვლები, ჰიდროლოგია, ჰიდროტექნიკური ნაგებობები, საინჟინრო მელიორაცია, ჰიდროელექტროსადგურები, სანაოსნო გზები და ნავსადგურები, წყალმომარაგების ქსელები და სისტემები, საინჟინრო ეკოლოგია და სხვა. დღეისათვის ასეთ ლექსიკონს ანალოგი არ გააჩნია და წარმოადგენს ამ სფეროში გამოყენებული ტერმინოლოგიის პირველ ტექნიკურ განმარტებით ცნობარს. ვიმედოვნებთ, რომ იგი დახმარებას გაუწევს ზემოხსენებულ დარგში დასაქმებულ მეცნიერებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, ბაკალავრებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს. ამიტომ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ იგი დამხმარე სახელმძღვანელოცაა. ლექსიკონი მოიცავს 2100-მდე ტერმინსა და ტერმინოლოგიურ გამოთქმას და დარგის ძირითად ცნებებს.

- **რეკომენდაციები** - გაანალიზებულია მთის წყალსაცავების აგების აუცილებლობის, მათი სახალხო მეურნეობაში გამოყენებისა და გარემოზე ზემოქმედების საკითხები. მოყვანილია წყალსაცავების კლასიფიკაცია, შეფასებულია მათი წყლის ხარისხის მაჩვენებლები.

